ლაძარ ლეგეზინი

მოხუცებზე ვაცილისცემა

ISSN
გვიდგია ელექტრონულ



მოხუცებზე პაატრიოტობა

ლაძია ლეგენთი

მთარგმნელი:

თამაზ მიქელაძე

თეოლოგიური რედაქტორი:

რევაზ მიქელაძე

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი

وقف مسلمو جورجيا

muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

2015

© შეთანხმების საფუძველზე სავტორო და საგამომცემლო უფლებები გადაეცა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდს muslimgeorgia -ს

წინასიტყვაობა

ადამიანი საზოგადოების ნაწილია. ერთიან სივრცეში მცხოვრები ადამიანები ვალდებულნი არიან იცოდნენ ინდივიდის უფლებება- მოვალეობები და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოქმედებდნენ, რათა ადამიანთა შორის მშვიდობა და ბედნიერება იქნას უზრუნველყოფილი. პასუხისმგებლობის შეგნება პიროვნებამ, უპირველეს ყოვლისა საკუთარით უნდა დაიწყოს. პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა ვისაც გააჩნია, მან ოჯახისა და საზოგადოების წინაშე არსებული პასუხისმგებლობაც იცის და დაკისრებულ მოვალეობასაც ასრულებს.

„ნუთუ ეგონა ადამიანს, რომ უპასუხისმგებლოდ იქნებოდა მიტოვებული?“

სურა ყიამეთის 36-ე აიათი მიგვითითებს, რომ ადამიანი პასუხისმგებლობის მატარებელი არსებაა.

„მერე იმ დღეს,აუცილებლად მოგეკითხებათ, რაც გებოძათ!“

სურა თექასურის მე-8 აიათი კი გვიჩვენებს, რომ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა გონება და სხვა მრავალი წყალობა ებოძა და ამის საპასუხოდ, გარკვეული ვალდებუ-

ლებები დაეკისრა, რომელიც შეძლებიდაგ-
ვარად უნდა შეასრულოს.

საზოგადოების სიმშვიდეს, უმთავრესად
გაურკვევლობა არღვევს, ყველას გვეკისრე-
ბა პასუხისმგებლობა, რათა ადამიანის ღირ-
სებისთვის შესაფერისი მომავალი შევიქმ-
ნათ. ცხადია, რომ დღეს ჩვენს საზოგადო-
ებაში მრავალი გაურკვეველი საკითხი არ-
სებობს.

დღეისათვის მსოფლიო საზოგადოე-
ბის მომავალს მრავალი საფრთხე ემუქრე-
ბა. ესენია: შიმშლი, სიღარიბე, გარემოს და-
ბინძურება, ბუნებრივი კატასტროფები, სო-
ციალური უთანასწორობა, არათანაბარი პი-
რობები, ზნეობრივი დაცემულობა, სულიე-
რი სიმდაბლე, მატერიალური მიდრეკილებე-
ბი, ურწმუნოება, ბოროტება, არასაკმარისად
ჯანსაღი გარემო, გაურკვევლობა განათლე-
ბისა და სამართლიანობის სფეროში, ისტო-
რიული და კულტურული ღირებულებების
განადგურება და სხვა. გარდა ამისა, ამ ყვე-
ლაფერს ემატება ადამიანებს შორის დია-
ლოგის. ტოლერანტობისა და შემწყნარებ-
ლობის შემცირება, განსხვავებული აზრის
დევნა და ტერორი.

ყველა ეს საკითხი არა კონკრეტული
რეგიონის ან ერისთვისაა დამახასიათებე-
ლი, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეო-

ბა რადაც ფორმით, გაურკვევლობაშია ჩაფლული. ამ საკითხების მოსაგვარევლად კი ხალხებს შორის ურთიერთობის გაღრმავება და საერთაშორისო მნიშვნელობის ქმედითი მიღწევების ძიებაა საჭირო.

სინამდვილეში, უმთავრესი არის ის, რომ ჩვენს ხელთ არსებულ ღირებულებებს ვერ ვამჩნევთ და შესაბამისად ამ ღირებულებებით არ ვცხოვრობთ. გამომდინარე აქედან, ჯერ ეს ღირებულებები უნდა აღმოვაჩინოთ და ყოველდღიურობაში დავნერგოთ. უეჭველია, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება ისლამია, რომელიც რამდენიმე ათეული საუკუნის განმავლობაში, კაცობრიობას გზას უნათებს.

დღეს, ადამიანის შესაძლებლობების განვითარების მიზნით შემუშავებული, ფსიქოთერაპიის მეთოდების ქმედითუნარიანობისათვის, ეკოლოგიური პრობლემების, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა მსგავსი გამოწვევების წინააღმდეგ რელიგიის მნიშვნელობა აშკარაა. ისლამს გააჩნია საიმისო შესაძლებლობა, რომ თანამედროვე გამოწვევებს უპასუხოს. მას აქვს საიმისო დინამიკა, რათა თანამედროვე მსოფლიოს ახალი ფორმულირებები შესთავაზოს.

ამ თვალსაზრისით ჩვენი სარწმუნოების მიერ გადმოცემული ბრძანებები და რჩევები, რომლებიც ურთიერთდახმარებისა და

ტოლერანტობის პრინციპების დამკვიდრებას უწყობს ხელს, ყურად უნდა ვიღოთ და ადამიანებს შორის არსებული უფლება-მოვალეობები კარგად გავიაზროთ და ცხოვრების ჭირი და ლხინი ერთად ვზიდოთ. ჩვენი ცხოვრების სტილი სოციალური ურთიერთთანადგომა უნდა იყოს და ბედნიერი მომავლისთვის ყველამ ერთად ვიბრძოლოთ.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim international charity

შესავალი

„ვისაც პატარებს არ შეიბრალებს და უფროსებს პატივს არ სცემს, ჩვენიანი არ არის.“ (ჰადისი)

ადამიანის ცხოვრება დაბადებით იწყება, გაივლის ბავშვობას, სიყრმეს, სიყმაწვილეს, ჭაბუკობას, ახალგაზრდობას, ზრდასრულობას, შუა ხანს, სიბერეს და სიკვდილით დასრულდება. სიცოცხლის პროცესში ყოველი წინა საფეხური შემდგომ საფეხურს უთმობს ადგილს. ადამიანის ცხოვრების ეს ეტაპები ყურანში შემდეგნაირადაა განხილული:

„იგია, რომელმაც გაგაჩინათ თქვენ მიწისგან, შემდეგ წვეთისგან, შემდეგ სისხლის კოლტებისგან. მერე გამოჰყავხართ ჩვილად, მერე მიაღწევთ ზრდასრულ ასაკამდე და რომ მერე შეიქნათ მოხუცნი. თუმც თქვენ შორის არიან ისეთნიც, ვინც კვდება უფრო ადრე. და რომ მიაღწიოთ განსაზღვრულ ვადას, ეგების მოუხმოთ გონებას.“ (მუ'მინ 40/67)

როგორც აიათშია ნაბრძანები, დავადებისა და სიკვდილის მსგავსად სიბერეც ღვთიური კანონის გამოვლინებაა და ყოველი ადამიანი, თუ მანამდე არ გარდაიცვალა, აუცილებლად გამოსცდის სიბერეს.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მრავალი სწავლული და ექიმი იკვლევდა ადამიანის ანატომიას და ცდილობდა სიბერის მოსპობას ან მისი მოქმედების სულ მცირე მინიმუმამდე დაყვანას, მაგრამ ეს ვერავინ მოახერხა. დღევანდელი მედიცინა სხვადასხვა პლასტიკური ოპერაციაბის საშუალებით ცდილობს ადამიანის გარეგნული სახე შეცვალოს და ადამიანი უფრო ახალგაზრდულად წარმოაჩინოს, მაგრამ ასაკთან ერთად მოსულ ადამიანის შინაგან ნგრევას და სიცოცხლის ხის გახმობას წინ ვერაფერი აღუდგება. შუამავალი ბრძანებდა: „ღმერთმა ყოველი დარდისთვის შესაბამისი წამალი გააჩინა, გარდა ერთისა და ის ერთი სიბერეა.“ (ებუ დავუდ, თიბ, 1)

ამრიგად სიბერეს ადამიანი წინ ვერ აღუდგება და ვერ გაექცევა.

სიბერე ყოველი ცოცხალი არსების მომავალი მდგომარეობაა. სინამდვილეში, რომ დავაკვირდეთ, სამყაროში ყველაფერი სიბერისკენ მიდის და დაკვირვებული თვალისათვის ეს ხილული პროცესია. ერთდღიანი დროის მონაკვეთს რომ დავაკვირდეთ, დილის გარიჟრაჟზე დღე იბადება, მზის ამოსვლის შემდეგ ახალგაზრდობაა, შუადღისას ზრდასრულობა და სიმწიფე, სამხრობისას დასასრულისკენ მზადება, საღამოს ბუდეში დაბრუნება და ღამეში მიძინება, რათა მო-

მავალი დღისთვის ისევ ხელახლა დაიბადოს. ადამიანი ამ ყველაფერს წელიწადის დროების მონაცვლეობისასაც ხედავს. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი... მათი მონაცვლეობაც სიცოცხლის პროცესია. ადამიანი ჯერ იბადება, მერე ბავშვობის ასაკი მოდის, შემდეგ ახალგაზრდობა და ზრდასრულობა, ბოლოს კი სიბერის ჟამი დგება. ეს ასე იყო და ასე იქნება, სანამ ღმერთი ინებებს.



muslim georgia

რადგანაც მოხუცებულობის შეჩერება შეუძლებელია, საჭიროა მივიღოთ ის ისეთი როგორიც არის და აქედანვე მოვემზადოთ მასთან შესაგებებლად. სიკვდილის წინა ეტაპის შინაარსიანად და ნაყოფიერად გატარება ჩვენს ხელშია. ასევე ჩვენს ხელშია მოხუცებულობის პერიოდი აუტანელად და გაუსაძლისად რომ ვაქციოთ. რადგანაც სიბერე შეუცვლელი ჭეშმარიტებაა, ადამიანი ახალგაზრდობაშივე უნდა ეცადოს ყოვლად კეთილი საქმის კეთებით სიცოცხლის მარაგი შინაარსიანად და ნაყოფიერად დახარჯოს.

შუამავალი ბრძანებდა: „ხუთი რამის მოსვლამდე ხუთი რამის ფასი იცოდეთ: ავადმყოფობის მოსვლამდე ჯანმრთელობის, მოუცლელობის მოსვლამდე თავისუფალი დროის, სიბერის მოსვლამდე ახალგაზრდობის, სიკვდილის მოსვლამდე სიცოცხლის და სიღარიბის მოსვლამდე სიმდიდრის.“ (ჯამი’უსსაღირ 40)

როგორც ჰადისში იყო ნაბრძანები მოხუცებულობის მოსვლამდე ახალგაზრდობის ფასი უნდა ვიცოდეთ.

სიბერე სიცოცხლის ბოლო ეტაპია. ახალგაზრდობის ვარდისფერი წლები გასულია და სიცოცხლის შემოდგომაა დამდგარი. იქნებ სიკვდილი სულ ახლოსაა, ერთი ფეხის ნაბიჯზე. გამომდინარე აქედან, ეს

არის დრო, როდესაც სიცოხლის და სიკვდილის, ახალგაზრდობის და სიბერის ნამდვილი მნიშვნელობა უნდა გავიგოთ და გავაანალიზოთ. სიცოცხლე იმდენად ხანმოკლეა, როგორც ერთი წამი. ამ ჭეშმარიტებას ყველაზე უკეთ მოხუცები ხვდებიან.

მოხუცებულობა სიცოცხლის უკუშექცევა, ანუ მეორე ბავშვობის პერიოდია. მოხუცებულობაში ადამიანს ფსიქოლოგიური

და ფიზიოლოგიური კუთხით გარკვეული სისუსტეები დაეწყება და ამიტომაა რომ გარკვეული თვალსაზრისით, მოხუცები ბავშვობის ხანას უბრუნდებიან. ამ პერიოდში ადამიანი ძალის მაგივრად სისუსტეს, სილამაზის მაგივრად შეუხედავობას, სიჯანსაღის მაგივრად ავადმყოფობას იგრძნობს ხოლმე და მუდმივად ამ უკანასკნელთა პირისპირ დგება. ყურანში მოხუცებულობა ნახსენებია, როგორც „ყველაზე ძნელი პერიოდი“. ამგვარი განმარტება შუამავალმაც გამოიყენა და ერთ-ერთ ვედრებაში ამბობს: „ღმერთო, ჩემი სიცოცხლის ყველაზე ძნელ პერიოდში ჩავარდნისას შენ მოგეკედლები“.

მოხუცებულობა ეს არის პერიოდი, როცა ადამიანი ხვდება თუ რაოდენ სუსტი და უმწეოა ის სინამდვილეში და ამათანავე სიბერე ახსენებს ადამიანს, რომ რაცარუნდა ბევრი იცოცხლოს, ბოლოს მაინც სიბერე და სიკვდილია. გადმოცემის თანახმად ხალიფა ომარს სპეციალურად პიროვნება ჰყავდა დაქირავებული და ჯამაგირს იმისათვის უხდიდა, რომ ამ ადამიანს ომარისთვის ყოველდღე სიკვდილი უნდა შეეხსენებინა. წლების შემდეგ კი როდესაც ხალიფა ომარს თმებში ჭაღარა გამოერია, მან დაქირავებული ადამიანი გაუშვა, რადგან გაჭაღარავებული თმები სრულიად საკმარისი იყო მისთვის, რომ ყოველდღე სიკვდილი გახსენებოდა. დიახ, ადამიანის თმებ-

ში როცა ჩამოთოვს, ეს იმას ნიშნავს რომ ის თავისი ცხოვრების ზამთარშია შესული.

მოხუცებს, რომლებიც ცხოვრების ყველაზე სუსტ პერიოდს გადიან და სიცოცხლის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები უკან მოიტოვეს, პატივისცემით უნდა მოვეპყროთ და მზრუნველობა არ მოვაკლოთ. ამას გვასწავლიდა წმ. შუამავალი. ჰადისში ნაბრძანებია შემდეგი:



„ვინც უმცროსებს არ შეიბრალებს და უფროსებს პატივს არ სცემს ჩვენიანი არ არის“. (თირმიზი, ბირრ, 15)

შუამავალი მოხუცებს უცოდველ ბავშვებს ადარებდა: „თქვენს შორის რომ არ ყოფილიყვნენ უცოდველი ბავშვები და წელში მოხრილი მოხუცები უბედურება ნიაღვარივით დაგატყდებოდათ თავს“. (მეისემი, მეჯმეუზ-ზევაიდ, 10, 227)

ამრიგად, მოხუცები ღმერთის წყალობასთან ახლოს არიან და ამისათვის მათ პატივი უნდა ვცეთ. გარდა ამისა, შუამავლის განმარტების თანახმად მოხუცების ვედრება და დალოცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მათი ჩვენ შორის ყოფნა სარჩოს სიუხვის მიზეზი ხდება. გარდა ამისა ისინი ერთგვარი ფარის როლს ასრულებენ განსაცდელისა და უბედურების წინააღმდეგ.

„ყურადღება მიაქციეთ სუსტებსა და დავრდომილებს, ვინაიდან მათ გამო გეხმარებათ ღმერთი და გაძლევთ სარჩოს.“ (ებუ დავუდ, ჯიჰად 69)

მოხუცებულობა ერთის მხრივ სიცოცხლის სიმწიფისა და დანაყრების პერიოდია, მაგრამ არც სიხარული და დარდი აკლია ამ პერიოდს. მოხუცებულობაში ადამიანი

უძლურდება. მას აღარ შეუძლია ძველებურად იმუშაოს. გარდა ამისა უფრო და უფრი იშვიათი ხდება გარემოსთან კონტაქტი. სერიოზული ვარდნაა სოციალურ ურთიერთობებში. ამ დროს სხვადასხვა სახის დაავადებებიც შემოუტევს და მოსავლელს გახდის. ყველაფერთან ერთად მეხსიერების უნარი დაქვეითდება და სკლეროზი იჩენს თავს.

აქედან გამომდინარე, ასეთ რთულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების წყენინება, მათზე გულისტკენა, უხეშად მოქცევა და მსგავსი დამოკიდებულება მიუღებელი და მოუწონებელი საქციელია. დღეს ჩვენ ახალგაზრდები ვართ, ძლიერები და ლამაზები. თუმცა, თუ დაგვცალდა ხვალ ჩვენც დავბერდებით. თუ ჩვენ გვინდა, რომ მოხუცებულობისას მზრუნველობით და პატივისცემით მოგვეპყრონ, ახლა ჩვენ უნდა მოვეპყროთ მოხუცებს შესაბამისად და მოხუცების მიმართ მზრუნველობა ტვირთად არ უნდა მივიჩნიოთ. ამ ჭეშმარიტებას შუამავლის შემდეგი სიტყვებით უკეთ ჩავწვდებით:

„ნებისმიერ ახალგაზრდას, რომელიც ასაკიდან გამომდინარე მოხუცის მიმართ მზრუნველობას გამოიჩენს, ღმერთი დაუდგენს ადამიანებს, რომლებიც სიბერის ჟამს მასზე იზრუნებენ.“ (თირმიზი, ბირრ, 75)

ნა მოაქვს მოხუცებულობას

რა ასაკში ითვლება ადამიანი მოხუცად ან როდის გრძნობს ადამიანი სიბერეს? ეს ის კითხვებია, რომლებსაც გარკვეულული ასაკის შემდეგ ყველა ადამიანი საკუთარ თავს დაუსვამს. თუმცა ამ შეკითხვებზე ზუსტი პასუხების გაცემა შეუძლებელია, რადგან მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ სამოცდაათი წელი გაიარეს, მაინც მუშაობენ და აქტიურ ცხოვრებას ინარჩუნებენ და მათთან ერთად ხშირად ვხვდებით ისეთებსა, რომლებმაც სამოცი წლის ასაკამდე ხელი აიღეს შრომასა და სხვა აქტივობებზე. თუმცა, სანამ სიბერე მოვიდოდეს, მას წინ უსწრებს კონკრეტული მიმანიშნებლები.

„ადამიანი ახალგაზრდობისას დღევანდელი დღით ცხოვრობს. ის არ იხედება წარსულისა და მოგონებებისკენ. ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, ბევრი სიტკბო დასაგემოვნებელი, ბევრ ადგილასაა წასასვლელი, ბევრი წიგნი აქვს დასაწერი... მერე ამ ნაცოდინარი სიტკბოების, ნამყოფი ადგილების და დაწერილი წიგნების შესახებ საუბარს დაიწყებს. ეს უკვე ნიშნავს რომ დაბერდა. რას ვიზამთ. წესი წესია...

ასეა, სიბერე ფრთხილად და შეპარვით მოგვეპარება და ერთ დღეს მთელი თავი-

სი სინამდვილით გამოგვეცხადება. სწორედ მაშინ გავიგებთ, რომ დავბერებულვართ.



ერთ-ერთი ცნობილი ფილოსოფოსი ამბობდა: „გეშინოდეთ სიბერის, რადგან ის მარტო არ მოვა“. აქ საუბარია სიბერესთან ერთად მოსულ ცვლილებებზე.

მოხუცებულობის პერიოდი ხასიათდება როგორც გარკვეული სილამაზით, ისე ცუდი და აუარყოფითი მხარეებითაც. ამიტომაა რომ ზოგი ადამიანი სიბერეს ძალიან ძნელად აღიარებს და ასევე ძნელად ეგუება. ხშირია შემთხვევები, როცა სიბერეში ადამიანები საზოგადოებისგან გაუცხოებას გა-

ნიცდიან, გარიდებას ამჯობინებენ და ცხოვრების დარჩენილ წლებს მარტოობაში და ტანჯვაში ატარებენ. ისინი ფიქრობენ, რომ არავის აღარაფერში სჭირდებათ. ჰგონიათ რომ უსარგებლო და ზედმეტი ტვირთი არიან ყველასათვის. სწორედ ამიტომ ირჩევენ მარტოობას. ზოგი ადამიანი სიბერეს ავადმყოფობით ხვდება. მას სურს, რომ ყველამ მის ირგვლივ იტრიალოს და მასზე იზრუნოს. ამგვარი ყურადღების მომლოდინე ან სულ ავად არიან, ან კიდევ ნებისმიერ მომენტში შეიძლება ავად გახდნენ. მათთვის, ვინც მოხუცებულობას ცხოვრების ნორმალურ მოვლენად მიიჩნევს, საქმე გაცილებით ადვილია. სიბერის მიმართ ამგვარად კეთილგანწყობილი ადამიანები ცხოვრების ამ უსიამოვნო პერიოდსაც სიამოვნებასა და სიმშვიდეში ატარებენ.

მოხუცებულობის პერიდში მნიშვნელოვანი მომენტია პენსიონერობა. პენსიაში გასვლა ერთ-ერთი პასუხია ზემოთ დასმულ კითხვაზე, თუ როდის იწყება მოხუცებულობა. პენსიაში გასვლა აქტიური შრომისუნარიანობის დაკარგვას გულისხმობს. პენსიაში გასული ადამიანი კარგავს არსებულ სამუშაოს და ამასთანავე სოციალურ გარემოს, სადაც ურთიერთობა უწევდათ. ამ დროს მის ირგვლივ იგრძნობა, რომ მის სიტყვას აღარ უსმენენ და აღარ სჭირდებათ. თუ ადრე საქმეში იყვნენ ჩართულები,

უთანხმდებოდნენ და ჭკუას ეკითხებოდნენ, ახლა უკვე ყველა თავისი გზით წავა და მათ დაივიწყებენ. ეს ყველაფერი უკმარისობის გრძნობას აღძრავს და მოხუცები ცხოვრების მიმართ გულცივი ხდებიან.

მოხუცები წარსულთან ერთად ცხოვრობენ. ისინი ყოველ მოვლენას წარსულთან აკავშირებენ და ამ კონტექსტში ცდილობენ ყველაფრის გაანალიზებას. ყოველი სიახლე მათთვის პრობლემატურია და უნდობლად ეკიდებიან. ამის გამო ისინი წარსულს უფრო მეტად ებღაუჭებიან. მუდმივად განიცდიან წარსულის ნოსტალგიას და როგორც წესი მოგონებებით ცხოვრობენ. ამის გამო მათი ურთიერთობა ახალგაზრდა ადამიანებთან უფრო და უფრო რთულდება

და თაობებს შორის უფსკრული უფრო და უფრო ღრმავდება. ისინი ვერც წარსულს შორდებიან და ვერც აწმყოს ეგუებიან.

ცხოვრების შემოდგომაზე ყოველდღე თითო ფოთოლი ცვივა სიცოცხლის ხეს. უფრო და უფრო ხშირად მიდიან სამუდამო სამყოფელში ახლობლები, მეგობრები, თანატოლები და ამის გამო ადამიანის სულში უფრო და უფრო მეტი სიცარიელე ისადგურებს. უკვე ვეღარაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ ამდენი ხნის თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი მეგობრების და ახლობლების ადგილი ვინმეთი ჩაანაცვლოს.

მოხუცებულობა სიკვდილთან ყველაზე ახლო პერიოდია. მოხუცი ადამიანი უფრო ხშირად და უფრო მეტი გულისყურით ფიქრობს სიკვდილზე. ადამიანი ამ დროს ნათლად გრძნობს, რომ სიცოცხლე დროებითია და ადრე თუ გვიან სიკვდილის მომენტი დადგება. სიკვდილთან მიახლოების დროს მოხუცი ადამიანის დამშვიდება მხოლოდ და მხოლოდ ცხოვრების ჯანსაღი ფილოსოფიის შედეგად არის შესაძლებელი. თუ მოხუცი ფიქრობს, რომ სიკვდილი არის ყველაფრის დასასრული და მის შემდგომ სიცარიელეა, მისი დამშვიდება და ამასთან შეგუება შეუძლებელი გახდება. მორწმუნე ადამიანი ამ დროს დარწმუნებულია, რომ სიკვდილი ეს არის მუდმივ ცხოვ-

რებაში გარდასვლის საშუალება და მისით კი არ მთავრდება ყველაფერი, არამედ მისით იწყება მუდმივი ცხოვრება.

მოხუცებულობის პერიოდში ადამიანის ფიზიკურ აგებულებასა და სულიერ სამყაროში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. თმები თეთრდება, ნაოჭები ჩნდება, რეაქციები ნელდება, სხეულის ზოგიერთი ფუნქცია მცირდება ან საერთოდ ქრება, მეხსიერების უნარი ქვეითდება, ძვლები სუსტდება და სხვა.

მოხუცებულობის პერიოდში ადამიანს გარკვეული ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური პრობლემები ეწყება. ყველაზე ხშირად ადამიანს სიბერის დადგომას სწორედ ამგვარი დაავადებები ახსნებენ ხოლმე. სადღა არის ძველებური ძალა და მოხერხება. არც მეხსიერებაა ძველებური. ამ დროს ადამიანის სხეულში დამანგრეველი პროცესები მიმდინარეობს და გზად ახალ-ახალი დაავადებები ჩნდება.

სიბერე ცხოვრების ბოლო ეტაპი და სიკვდილისკენ მიმავალი გზის საფეხურია, როდესაც ადამიანს ამქვეყნისა და ქონების სიყვარული უფრო უმძაფრდება. ადამიანი ბერდება, სხეული ცვდება, მაგრამ მის შინაგან სამყაროში არსებული უკვდავების სურვილი მაინც მუდმივია. ამ ჭეშმარიტებას წმ. შუამავალი ასე გადმოგვცემს:

„ადამიანი რომ მოხუცდეს, მისი ორი გრძნობა ისევ ახალგაზრდად დარჩება: ამქვეყნის სიყვარული და დიდხანს სიცოცხლის სურვილი.“ (ბუჰარი, რიყაყ, 5; მუსლიმი, ზექათ, 113)

სიბერის ჟამს მორწმუნე ადამიანები ამქვეყნიური ლტოლვისაგან თავისუფლდებიან და სიცოცხლის ბოლო ეტაპზე ღვთისმსახურებასა და სასიკეთო საქმეებისკენ უფრო იხრებიან, რადგან იციან, რომ სიკვდილი მუდმივ სამყაროში გარდასვლისათვის ერთგვარი კარია და მისი საშუალებით სული სიმშვიდეს ჰპოვებს.

თუ ადამიანი სიბერეს შინაარსიანად და ნაყოფიერად გამოიყენებს, ეს მისთვის ხელსაყრელი მომენტი და ღვთის წყალობა გახდება, რადგან ეს ის პერიოდია, როდესაც ახალგაზრდობისგან განსხვავებით ადამიანს ყველანაირი გამოცდილება მიღებული აქვს, უკეთ იცის სწორი და მცდარი და ყველაფერს უფრო საღი ხედვით აფასებს.

მთელი ცხოვრება ლამაზად და შინაარსიანად ვინც იცხოვრა, ვინც უკან მოხედვისას ნაკეთებ სიკეთეს და მადლს ხედავს, სიბერეც მშვიდი, ნაყოფიერი და შინაარსიანი ექნება. სიბერე ცხოვრების შემოდგომაა. ახალგაზრდობაში ნაკეთების ჯილდო მაშინ უნდა მიიღოს ადამიანმა. ამიტომაა ნათქვამი, როგორც იცხოვრებთ, ისეთი სიბერე გექნებათო. ეს აშკარა გზავნილია იმის

გასაგებად, რომ თუ ადამიანი ცხოვრებაში მხოლოდ სიკეთეს აკეთებს და ლამაზად იცხოვრებს, სიბერეც მშვიდი და შინაარსიანი ელოდება.

სიბერე სიცოცხლისგან ჩამოშორება არ არის

„სანამ ჩვენი გონება ახალ გამოცდილებებს იძენ, ადამიანი ახალგაზრდად ითვლება“. უილიან გლედსტოუნი

რატომღაც ჩვენს საზოგადოებაში სიბერესთან დაკავშირებით მცდარი შეფასებები კეთდება. მაგალითად, ზოგადად მიიჩნევა, რომ მოხუცი ადამიანი ცხოვრების აქტიურობას უნდა განერიდოს, კუთხეში მიიყუჟოს და სიკვდილს დაელოდოს. თუმცა, ამგვარი შეფასებები სიმართლესთან საკმაოდ შორს დგას. სიბერე ცხოვრებისგან ჩამოშორება, ნაჭუჭში შეძრომა და სიკვდილის ლოდინი ნამდვილად არ არის. პირიქით, მოხუცები გავლილი ცხოვრებიდან გამომდინარე, მათ გამოცდილების გამო წარსულსა და აწმყოს შორის ერთგვარი ხიდის ფუნქციას ასრულებენ.

მოხუცები ჩვენი მეხსიერება და წარსული არიან. ისინი არიან ჩვენი ცოდნა და გამოცდილება. დღევანდელი დღის აშენებაში მათი წვლილი და ამაგია ჩადებული.

მათ ცხოვრებისგან უამრავი გაკვეთილი მიიღეს, ცხოვრება გაანალიზეს და როგორც წესი ცხოვრებაში გამოიწრთენ და გამოიჭედნენ. ამიტომ სასურველია მათი გამოცდილებიდან ვისარგებლოთ. ოჯახში პატივსაცემი და საყვარელი მოხუცის არსებობა, ოჯახის წევრებს შორის ჰარმონიულ დამოკდებულებას, უფრო მეტ სიახლოვეს და ურთიერთპატივისცემას განაპირობებს. გარდა ამისა მოხუცები ადამიანური და ზნეობრივი ღირებულებების დაცვასა და მომავალ თაობებზე გადაცემის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

როგორ მოვიქცეთ, რომ მოხუცები ჩვენგან კმაყოფილი და ბედნიერები იყვნენ? რა

თქმა უნდა მათ უნდა ვაგრძნობინოთ, რომ მათთვის ყველაფერი დამთავრებული არ არის და არსებობს მრავალი რამ რისთვისაც ისინი ძალიან მნიშვნელოვანი არიან. თუნდაც ოჯახში... ოჯახურ გარემოში ბევრი საქმის მოფიქრება შეიძლება, რასაც მოხუცები გააკათებენ. ეს მათ გაახალისებს და აგრძნობინებს, რომ ისინიც საჭირო და მნიშვნელოვანი არიან. „ეს როდის გააკეთებს ამას, ჯობს მე გავაკეთო უცებ“ ეს და ამგვარი მიდგომები არ უნდა გამოვიყენოთ და დაველოდოთ. როდესაც მოხუცი გააკეთებს საქმეს, თქვენ ნახავთ რაოდენ ბედნიერია ის.

ოჯახში მოხუცების გასაკეთებელ საქმეებს შორის შეიძლება იყოს ყვავილების მორწყა, ბაღში მსუბუქი სამუშაოს შესრულება, ბავშვების თვალყური, ბაზარში ან მარკეტში მცირე რაღაცაების შეძენა და სხვა მსგავსი. ბუნებრივია ყველა ეს საქმე ოჯახის მდგომარეობის მიხედვით იცვლება. იმ ოჯახებში, სადაც ორივე მშობელი დასაქმებულია და სამსახურში დადის, ძიძას მოყვანას და მასზე ბავშვების ჩაბარებას ბევრად სჯობს ბებია-ბაბუამ მიხედონ ბავშვებს.

ცნობილი რომაელი მოაზროვნე ციცერონი მოხუცების შესახებ ამბობდა, რომ მათი ცოდნის და გამოცდილების გათვალისწინებით მოხუცებს ჯერ კიდევ მრავალი საქმე აქვთ გასაკეთებელი და მათი შედეგიანად გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია.

„სიბერე ადამიანს საქმეებს ჩამოაშორებსო, ამბობენ. კი მაგრამ, ჯერ დავადგინოთ რომელი საქმიანობისგან. იმ საქმიანობისგან, რომელსაც ახალგაზრდობა და ძალა სჭირდება. რადგან მოხუცები ფიზიკურად ძლიერები აღარ არიან ამის გამო არ უნდა იდარდონ, რადგან აუცილებელი არ არის ძლიერები იყონ. თუ სხეული ფიზიკურად ძლიერი არ აქვთ, სულიერ ძლიერებაზე რას იტყვით? ან იმ მოხუცებზე რას იტყვით, გამოცდილებით, ცოდნით და აზროვნებით რომ უდიდეს საქმეებს აკეთებენ? ვინც ამბობს,

რომ მოხუცები აღარაფერში გამოდგებიან, რა თქმა უნდა უგნურია. ამგვარი განცხადების გაკეთება იმას ნიშნავს ვამტკიცოთ გემზე მესაჭე არაფერს აკეთებსო. ასეა, გემზე ზოგი გემბანზე დარბის, ზოგი ბოძებზე ადის, ზოგი გემში შემოსულ წყალს ვედროთი იღებს და ზღვაში ცლის, ხოლო მესაჭე გემის უკანა ნაწილში ზის, ხელში საჭე უპყრია და „ნებივრობს“.

არადა გემის უსაფრთხოების თვალსაზრისით ყველაზე დიდი მოვალეობა სწორე-

დაც რომ მას აკისრია. მართალია მოხუცები იმ საქმეს ვეღარ შეძლებენ, რასაც ახალგაზრდები გააკეთებენ, მაგრამ უფრო მნიშვნელოვან და დიდ საქმეებს აკეთებენ. დიდი საქმეები ძალით და მოხერხებით კი არ იწყება, არამედ აზროვნებით, სიტყვით და სწორი შეფასებებით.“



მოხუცებულობის პერიოდი უფრო შინაარსიანი და საინტერესო რომ იყოს, ეს გარკვეულწილად დამოკიდებულია პიროვ-

ნების ცხოვრებისეულ ხედვაზე. თუ მოხუ-
ცებულობა, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნუ-
ლი, ისე უნდა იქნას გაგებული, რომ მოხუცი
ყოველგვარ საქმიანობას შეეშვას და უმაქ-
ნისად ჩაითვლება, ამ შემთხვევაში მოხუ-
ცებულობა მართლაც აუტანელი გახდება.
ხოლო, თუ მოხუცებულობა ხანგრძლივი და
შინაარსიანი ცხოვრების შედეგად აღიქმე-
ბა, როგორც სწორად ცხოვრების ჯილდო,
მაშინ ის აღარ იქნება საშინელება და პი-
რიქით, ცხოვრების სასიამოვნო ეტაპადაც
შეიძლება ჩაითვალოს. მოხუცებულობის პე-
რიოდი განსაკუთრებით ხელსაყრელია მათ-
თვის, ვინც გადატვირთული გრაფიკის გა-
მო ვერ მოიცალა და ხელოვნებასთან, მწერ-
ლობასთან და მსგავს სფეროებთან დაკავ-
შრებული აქტივობები ახალგაზრდობის პე-
რიოდში ვერ შეასრულა. ხელოვნებით და-
კავება, წერა და სხვა მსგავსი აქტივობები
მოხუცებს დროის შინაარსიანად გატარება-
ში ეხმარება და ამსთანევე აგრძნობინებს
მათ, რომ ზედმეტი არ არის და ისიც რაღაც
მნიშნელოვანს აკეთებს. ეს კი თავის მხრივ
დაეხმარება უფრო მჭიდროდ დაუკავშრდეს
ცხოვრებას.

ასაკში შესვლის მიუხედავად ვინც აქტი-
ურ შრომისუნარიანობას ინარჩუნებს უფრო
ნაკლებად ეძლევიან სიბერეს და უფრო
გამძლენი არიან. ადამიანი, სანამ პირში სუ-
ლი უდგას და ფეხზე დგას, რაღაცას უნ-

და ქმნიდეს. სიზარმაცე სიბერის პროცესს აჩქარებს. ტყულად გაჩერებული ხანშიშესულები, რომლებიც სიბერეს კატასტროფად აღიქვამენ და არაფერს აკეთებენ, დადგენილია, რომ უფრო ხშირად ავადდებიან ისეთი მძიმე დაავადებებით, როგორიცაა სიმსივნე, ვიდრე ისინი, ვინც აქტიურ ცხოვრებას ეწევა.

სახლში მყოფი ბებია და ბაბუა ბავშვებისთვის როგორც წესი წარსულიდან აწმყოში გადებული ხიდის ფუნქციას ასრულებენ. ახალგაზრდები, რომლებმაც თანამედროვე სიახლეები შეისწავლეს კარგს იზამენ თუ ამ ყველაფერს მოხუცების გამოცდილებასთან შეაჯერებენ. ასე ისინი უფრო ნაკლებ შეცდომებს დაუშვებენ. მოხუცებულობის პერიოდში მოხუცებიც უფრო კარგად უგებენ ბავშვებს და უფრო მეტი ურთიერთგაგება ახასიათებთ. ასევე უკეთ გამოსდით კომუნიკაცია.

ბაბუას და ბებიას მღიმარე სახით მოყოლილი ზღაპრები, ანდა შუამავლის და მისი მეგობრების ცხოვრების ეპიზოდები ბავშვებისთვის განსაკუთრებით შთამბეჭდავია და ღირებულებების შთამომავლობაზე გადაცემის კუთხითაც ერთობ მნიშვნელოვანი.

უკანასკნელმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ აზროვნება და მუდმივად ახალი რამეების დასწავლა ადამიანის ტვინის უჯრე-

დების დაბერებას ანელებს. მოხუცებულობასთან დაკავშირებული დაავადების, სკლეროზის თავიდან აცილება ტვინის აქტიური მუშაობის შედეგად ხერხდება. მოხუც ადამიანებს შეუძლიათ სხვადასხვა კურსებზე ჩაეწერონ, ითამაშონ ჭადრაკი, ამოხსნან კროსვორდები, იკითხონ წიგნები და ჩაებნენ სხვა მსგავს აქტივობებში, რაც მათ ჯანმრთელობას შეუნარჩუნებს.

სიბერე პირდაპირ ასაკზე არ არის დამოკიდებული და არც ბევრი წლები განსაზღვრავს ნამდვილ სიბერეს. ადამიანი რაც არ უნდა იმ ასაკში იყოს, სიცოცხლესთან დაკავშირებული სურვილები, იმედები და შეგრძნებები თუ არ დაუკარგავს ახალგაზრდად ითვლება. წარმოგიდგენთ ამის მაგალითებს:

ქრისტეფორე კოლუმბი ორმოცდაათ წელს გადაცილებული იყო, როდესაც ამერიკის აღმოჩენის მიზნით პირველ მოგზაურობაში წავიდა.

არქიტექტორი სინანი 70 წელს დიდი ხნის გადაცილებული იყო, როდესაც სულეიმანიეს მეჩეთის მშენებლობა დაასრულა, ხოლო სელიმიეს მეჩეთი როცა დაასრულა სინანი უკვე 86 წლისა იყო.

გალილეო გალილეი სამოცდაცამეტი წლის იყო მთვარის დღიური და თვიური

ციკლები რომ გამოთვალა.

გოეთე ოთხმოცი წლის იყო, როდესაც მისი ყველაზე დიდი ნაწარმოები „ფაუსტი“ დაასრულა.

ერთადერთი რამ, რაც სჭირდებათ ყურადღება და სიყვარულია, დიადი ღმერთი ბრძანებს:

„და ისინი მფარველობის ქვეშ აიყვანე ლმობიერებითა და თავმდაბლობით და თქვი: ღმერთო ჩემო! პატარაობისას როგორც (მზრუნველობით) გამზარდეს, ისე შეიწყალე ესენი!“ (ისრა 17/24)

ადამიანის ცხოვრებაში ორი პერიოდია, როდესაც ყველაზე მეტად სჭირდება ყურადღება და სიყვარული. ამათგან ერთი ბავშვობის პერიოდია, ხოლო მეორე- სიბერე.

მოხუცებულობის დროს ადამიანი ცხოვრებისგან შეძენილი გამოცდილებებითაა დატვირთული და ფიზიკურადაც და სულიერადაც დაღლილი შეიძლება იყოს, ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას იმსახურებს.

არსებობს სხვადასხვა ძველი ტრადიციები, რომელთა მიხედვითაც მოხუცებს, რომ-

ლებიც ბუნებრივია აქტიურ შრომას ვეღარ ეწეოდნენ, სხვადასხვა ფორმით სიკვდილისათვის განწირულებს ტოვებდნენ. ძველად, ციმბირში როდესაც ადამიანი მოხუცდებოდა და შრომა აღარ შეეძლო, ოჯახური კრების გადაწყვეტილებით სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდათ. ესკიმოსები კი მოხუცებს ყინულის ქოხებში ტოვებდნენ. ძველ იაპონიაში მოხუცები „სიკვდილის მთაზე“ აჰყავდათ და იქ ტოვებდნენ სასიკვდილოდ განწირულებს.



მოხუცია ადამიანების მიმართ გამოჩენილი ეს სასტიკი და არაადამიანური ტრადიციები წარსულში დარჩა. თუმცა, დღეისათვის მოხუცების მიმართ არასათანადო მოპყრობის სხვა მაგალითები არსებობს. მართლია ჩვენს მოხუცებს სიკვდილის მთაზე აღარ ვტოვებთ, მაგრამ ოთახებში, სახლებში და მოხუცთა თავშესაფრებში გვყავს გამოკეტილი და ასე მარტოობაში სასიკვდილოდ განწირული. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მყოფი ეს ადამიანები შეიძლება ჩვენი დედები, მამები, ან სხვა ახლობლები იყვნენ. ისინი ჩვენი ცხოვრების ძალიან ბევრ ეტაპზე ხომ ჩვენთან ერთად იყვნენ. მათი ცხოვრების უკანასკნელი დღეების მშვიდად და ბედნიერად გატარება, მათ მიმართ მზრუნველობის და ყურადღების გამოჩენა ყოველი ჩვენთაგანის ადამიანური მოვალეობაა.

სინამდვილეში, მოხუცებს ჩვენგან ბევრი რამე არ უნდათ. მათ მხოლოდ და მხოლოდ, ცოტა ყურადღება და ცოტაც სიყვარული სჭირდებათ. მათ სჭირდებათ თბილი ოჯახური გარემო, სადაც თავს მშვიდად იგრძნობენ. გულწრფელი ღიმილი, ტკბილი სიტყვა, აი რა სჭირდებათ მათ. მოხუცთა თავშესაფრებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები თითქმის ერთნაირი შინაარსისაა: „ამ ასაკში აღარც ჩაცმა გვიზიდავს და აღარც ჭამა. ახლა ჩვენ ჩვენი შვილების

და შვილიშვილებისგან ყურადღება და მათდამი სიყვარულის გამოხატვა გვჭირდება.

ფიზიოლოგიური სიბერე ადამიანს ფსიქოლოგიურადაც დააკნინებს და მორალურ მდგომარეობას დიდად დასცემს. მოხუცებულობას თან მოსდევს გულმავიწყობა, რაც კომუნიკაციის პრობლემებს ქმნის. გარდა ამისა, თანდათან ქრებიან ნაცნობი სახეები, რადგან

სიკვდილი ყველასთან მოდის. ეს კი მოხუც ადამიანს მარტოობის შეგრძნებას უმძაფრებს. ასეთ დროს ადამიანი საზოგადოებისგან გარიყულად გრძნობს თავს. შესაბამისად ის უბედური და აფორიაქებულია. გამომდინარე აქედან, მოხუცებულობის დროს ამ განსაკუთრებით მგრძნობიარე ადამიანებს უნდა შევუქმნათ პირობები, სადაც სიყვარული და პატივისცემა იქნება გამეფებული და მუდმივად გავამხნევოთ ისინი. ასევე სასურველია ჩავაბათ როგორც საოჯახო, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში, რადგან ეს მათთვის სიცოცხლის სურვილს და მოტივაციას აამაღლებს. და რაც მთავარია ხშრად უნდა გავუღიმოთ და ტკბილი სიტყვა ვუთხრათ. ეს მათთვის ნებისმიერ საჩუქარზე უფრო ძვირფასია.

ცხოვრებაში ყველა ადამიანი რაღაცით დაკავებულია. არცერთი საქმე და მოუცლელობა არ უნდა გახდეს მიზეზი იმისა, რომ მშობლებს ვერ დავურეკოთ, არ მოვიკითხოთ და არ მოვეფეროთ. ყურანში ღმერთი ნათლად მოგვიწოდებს, თუ როგორ უნდა მოვექცეთ მოხუცებულ მშობლებს:

„და დაგიდგინა შენმა ღმერთმა, რომ არ ეთაყვანოთ არავის, გარდა მისი და კეთილად მოექცეთ მშობლებს. თუ მშობელთაგან ერთ-ერთი ან ორივე მიაღწევს სიბერემდე, არ უთხრა: „უჰ!“ და არ გაუწყრე (არ

დატუქსო, არ დააყვედრო) მათ და ლამაზი (პატივისცემით მოეპყარი) სიტყვა უთხარი!

და ისინი მფარველობის ქვეშ აიყვანე ლმობიერებითა და თავმდაბლობით და თქვი: ღმერთო ჩემო! პატარაობისას როგორც გამზარდეს, ისე შეიწყალე ესენი!“ (ისრა 17/23-24)

აიათის მიხედვით ღმერთი შემდეგნაირად გვმოძღვრავს: „როდესაც პატარა იყავი მშობლებმა ათასგვარი წვალებითა და ამა-

გით, მზრუნველობითა და სიყვარულით გაგ-
ზარდეს. ისინი მუდამ ზრუნავდნენ შენზე,
გულში გიხუტებდნენ და ამ დრომდე მოგიყ-
ვანეს. ახლა უკვე ისინი შენს თვალწინ
მოხუცდნენ და ახლა მათ სჭირდებათ სიყ-
ვარული და მზრუნველობა. შენც სიყვარუ-
ლითა და ყურადღებით უნდა მოეპყრო. არ
უნდა მოიქცე ისე, რომ მათი გულისტკენა
და წყენა გამოიწვიო.



muslim georgia
muslim georgian internat

შეიძლება მოხუცებულობის, ან ავადმყოფობის გამო დავრდომილი არიან და საკუთარ თავზე მიხედვა აღარ შეუძლიათ. შენ მოთმინება უნდა გამოიჩინო და გულუხვი უნდა იყო მათ მიმართ. მუდმივად ეცადე ლამაზი სიტყვითა და ქცევებით მათი გული მოიგო. მათი თავი შეავედრე ღმერთს. ყოველთვის მოუსმინე რა აწუხებთ, რა სურთ, რას ელოდებიან. ყველაზე უკეთესი გზები გამონახე მათთან ურთიერთობაში. როდესაც საყვადურებს დაიწყებენ, უხასიათობას გამოავლენენ, თუნდაც მართალი იყო მკვახედ არ უპასუხო, სახე არ შეიცვალო, უკმაყოფილება არ გამოხატო. ისინი ხომ შენზე არიან დამოკიდებული, ზუსტად ისე, როგორც ერთ დროს, ბავშვობაში შენ იყავი მათზე დამოკიდებული.“

დიადი ღმერთი ამგვარი აიათებით ადამიანს მივიწყებულ წარსულს ახსენებს. ადამიანმა მუდამ უნდა იცოდეს, რომ ყოველთვის ახალგაზრდა და ძლიერი ვერ იქნება. უნდა გაიხსენოს, რომ ერთ დროს უმწეო და სხვაზე დამოკიდებული იყო და იმ დროს მასზე მშობლები ზრუნავდნენ. ჩვენ ყველას გვჭირდება გავიხსენოთ მშობლების ამაგი და ჯაფა, რაც ჩვენთვის გასწიეს. არ უნდა ვიყოთ უმადურები, რადგან ყურანში ნაბრძანებია, რომ უმადურები წარსულს სწრაფად ივიწყებენ.

მოხუცებულობის პერიოდში ადამიანი განსაკუთრებით მგრძნობიარეა. მას ისევე სჭირდება ყურადღება და სიყვარული, როგორც ბავშვს. როგორც ბავშვისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სიყვარულის გამოხატვა, რომ ის ნორმალურად განვითარდეს და აღიზარდოს, ისე მოხუცებსაც სასიცოცხლოდ სჭირდებათ სიყვარული, რათა ცხოვრებასთან კავშირი არ გაწყვიტონ და სიცოცხლე უყვარდეთ. შუამავალი მოხუცებთან ურთიერთობის შესანიშნავ მაგალითებს იძლევა და ეს მრავალ ჰადისშია დაფიქსირებული. შუამავალი ბრძანებდა, რომ მოხუცებზე პატივისცემა უდიდესი მადლია. თვითონაც, მის ირგვლივ მყოფი მოხუცების მიმართ მუდამ მზრუნველობას იჩენდა და პატივს სცემდა.

მიუხედავად იმისა, რომ შუამავალმა ადრეულ ბავშვობაშივე დაკარგა მშობლები, იმ ადამიანებს სცემდა სათანადო პატივს, რომლებმაც მშობელბის ადგილი დაიკავეს. შუამავალი ყოველთვის ყურადღებით და სიყვარულით ეპყრობოდა საყვარელი ბიძის, ებუ თალიბის მეუღლეს, ფატმას, ძიძებს სუვეიბეს და ჰალიმეს და სხვა ახლობელ ადამიანებს. ხშირად იკითხავდა მათ, მოინახულებდა ხოლმე და თან საჩუქრებს სჩუქნიდა. მისი ამგვარი დამოკიდებულება და ურთიერთობა მოხუცებულ ახლობლებთან მართლაც რომ სამაგალითოა.

როდესაც შუამავალმა მექა აიღო, ებუ ბექირმა მამა, რომელიც ვერ დადიოდა ზურგზე წამოიკიდა და შუამავალთან ასე მიიყვანა. ამის დანახვაზე შუამავალი ძალიან შეწუხდა და ებუ ბექირს მიმართა: ნეტა ასეთი მოხუცი ადამიანი არ დაგეღალა, სახლში დაგეტოვებინა და ჩვენ ვეახლებოდითო. (აჰმედ ჰანბელი, მუსნედ, 3, 160)

შუამავალი მკაცრად აკრიტიკებს და აფრთხილებს ისეთ ადამიანებს, რომლებიც მოხუც და დავრდომილ მშობლებს ცუდად ექცევიან, პატივისცემას და სიყვარულს არ აგრძნობინებენ და მზრუნველობას არ იჩენენ:

„ვისაც პატარები არ უყვარს და უფროსებს პატივს არ სცემს ჩვენიანი არ არის“. (თირმიზი, ბირრ, 15)

შუამავალი არამარტო მოხუცებული მშობლების მიმართ ითხოვდა პატივისცემასა და მზრუნველობის გამოხატვას, არამედ მოგვიწოდებდა ასევე მზრუნველობა გამოგვეჩინა დავრდომილების, უმწეოების, ობლების და უპატრონოდ დარჩენილების მიმართ.

მოხუცი მშობლების კარგი შვილი, რომელიც მუდმივად მზრუნველობას და პატივისცემას იჩენს მათ მიმართ, მშობლებისგან მიიღებს დალოცვას, რომელსაც ღმერთი შეისმენს და მიიღებს. შუამავალი ბრძანებს, რომ მშობლების მიერ შვილის დალოცვა ღმერთის მხრიდან აუცილებლად მიღებული იქნება:

„ამ სამი ადამიანის ვედრება უკან არ მობრუნდება: დაჩაგრულის ვედრება, სტუმრის ვედრება და მშობლების მიერ შვილის დალოცვა“. (ებუ დავუდ, ვითარ, 29)

ერთ-ერთი ჰადისის მიხედვით, რომელიც ბუჰარიშია მოთხრობილი, სამი ახალგაზრდა ყმაწვილი თავს გამოქვაბულს შეაფარებენ. რამოდენიმე ხნის გასვლის შემდეგ, როდესაც გამოქვაბულიდან გასვლას მოისურვებენ, აღმოჩნდება, რომ გამოქვაბულის კარი უზარმაზარი ლოდით არის ჩაკეტილი. სამი ახალგაზრდა თითქმის გამოუვალ მდგომარეობაშია და გამოქვაბულის კარში ჩამოგ-

დებული ლოდისგან თავის დაღწევის მიზნით თავიანთი კეთილი საქმეების გახსენებას იწყებენ. დაიწყებენ მოყოლას და ყოველი ამბის შემდეგ ღმერთს სთხოვენ, თუ ეს საქმე ნამდვილად სიკეთიანი და მხოლოდ ღმერთის კმაყოფილებისთვისაა გაკეთებული, ამ უბედურებისგან გადაგვარჩინეო. ყოველი ამბის შემდეგ გამოქვაბულის კარში ჩამოვარდნილი ლოდი მცირედით იწევდა. ბოლოს ყმაწვილთაგან ერთ-ერთი მშობლების მიმართ პატივისცემასა და მზრუნველობის შესახებ მოყვება, ლოდი მთლიანად გაიხსნება და ყმაწვილები განსაცდელს თავს დააღწევენ. (ბუჰარი, ენბია, 50)

მოხუცების ყველაზე დიდი შიში მარტო დარჩენაა. ისედაც ძალებისგან დაცლილებს, მომატებული მგრძნობელობის გამო მარტოობის ტვირთის ზიდვა ძალიან უჭირთ. მოხუცებულობაში მარტოდ დარჩენა, ამ ისედაც რთული პერიოდის ყველაზე გაუსაძლისი მდგომარეობაა. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ გავუგოთ მოხუცების ამ სულიერ მდგომარეობას და შევუქმნათ ოჯახური, თბილი გარემო, სადაც სიყვარულსა და მზრუნველობას იგრძნობენ.

ზოგადად, უმეტესობა მოხუცების თავშესაფარში გაგზავნაზე უარს ამბობს, მაგრამ სამაგიეროდ მოხუცებს ოთახებში მარტო, უყურადღებოდ გამოკეტილს ტოვებენ. სი-

ნამდვილეში მოხუცებს ჩვენგან ბევრი რამ არ უნდათ. მათი ზედმეტად მგრძნობიარე გულების მოგება უბრალო და გულწრფელი ღიმილითაც შეიძლება. ყველაფერი, რასაც ელოდებიან ეს არის ყურადღების და მზრუნველობის გამოჩენის მიზნით მოკითხვა და ტკბილი სიტყვა.

პოეტი ჯან იუჯელი მარტოობაში დარჩენილი მოხუცების განცდებს შემდეგნაირად გადმოგვცემს:

მარტოობას გავუძლებდი, მარტოდმარტოობას ვერა

მძიმეა სიბერე ცარიელი კედლების შემხედვარე

მეგობრული გამოხედვის ძიებაში...

საათის წიკწიკში...

არ მეშინია, თავს გავიტანთ, წავალთ ბედნიერებით,

მაგრამ,,,დილა მშიდობისა“,,,ძილინებისა“ ვიღაცამ ხომ უნდა გვითხრას

ტელეფონმა ხომ უნდა დარეკოს ზოგჯერ...

თორემ არ არის ძნელი,

საერთოდ არ არის ძნელი ჩაის დასხმა, კოვზით მორევა და ყლუპებით დალევა

მაგრამ;

„ჩაიში რამდენი შაქარი ჩაგიყარო?“ ვიღაცამ ხომ უნდა მკითხოს ზოგჯერ...

მოხუცთა თაყვანისმცემელი ან ერის უკანასკნელი გამოხატველი

„თმაგათეთრებული, მოხუცი მუსლიმის მიმართ ზრდილობა და პატივისცემა, ღმერთს მიმართ პატივისცემის შედეგია.“ (ებუ დავუდ, ედებ, 23)

ჩვენ არ გვქონდა საკმარისი დრო, რომ მათთვის დაგვეთმო. ეს იმიტომ, რომ ჩვენი სახლი ის აღარ იყო, რაც ძველად. ოჯახის წევრები, რომლებიც ყოველ საღამოს ვაშხმობის სუფრასთან იკრიბებოდნენ, ახლა სათითაოდ დაფანტულიყვნენ. განსაკუთრებით დამღლელი სამუშაო, გაზრდილი სამუშაო დრო, სოციალური ცხოვრების მიერ წართმეული ცალკე დრო, სტრესის მოხსნის მიზნით გაკეთებული საქმეები... ამ ყველაფრის შემდეგ, სახლი ის ადგილი იყო, სადაც ხელსაყრელი შემთხვევის შედეგად თუ მოვხვდებოდით. ჩვენი ცხოვრების სტილი არანაირად არ შეესაბამებოდა მოხუცის მოვლის შესაძლებლობას. და ამ დროს, ჩვენ კი არ დავუახლოვდით ჩვენს მოხუცებს, არამედ იოლი გზა ავირჩიეთ და მათ დავშორდით.

წავიყვანეთ ისინი და მოხუცთა თავშესაფარში დავტოვეთ.

მოხუცთა თავშესაფრის ხსენებაზე ყველას ის ტელეგადაცემები გვახსენდება, სადაც მოხუცთ თავშესაფარზე იყო რეპორტაჟი და სადაც საუბარი იყო თუ როგორ ცუდად ექცეოდნენ მოხუცებს ამ თავშესაფრებში. ჩვენ, ჩვენი სახლებიდან, ჩვენი ცხოვრებიდან ამოვშალეთ ჩვენი მოხუცები და თავშესაფარში მივაბარეთ, იმ იმედით, რომ იქ კარგად მოექცევიან.

ახლა ამ ყველაფერს მოხუცების გადმოსახედიდან შევხედოთ და მივხვდებით თუ

რაოდენ ტრაგიკულია აღნიშნული მდგომარეობა. მათ ათასგვარი პრობლემის თანხლებით, უსაზღვრო ამაგითა და ჯაფით გაზარდეს შვილები. საკუთარი თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ. იქნებ უფრო მეტადაც. ჭამა მოიკლეს და შვილებს აჭამეს, არ ჩაიცვეს და შვილებს ჩააცვეს და ასე აღზარდეს. დღეს კი შვილებისთვის ისინი ზედმეტ ტვირთად გადაიქცენენ. შვილებმა ამოიგდეს ისინი გულიდან და ახლა თვალსაწიერიდანაც მოიშორეს. არადა სწორედ ახლა... სწორედ ახლა სჭირდებათ შვილები.

საკმაოდ ბევრი და მტანჯველი წლები მოიტოვეს უკან. იცხოვრეს და მოხუცდნენ. ახლა სულ იმაზე ოცნებობდნენ შვილებსა და შვილიშვილებთან ერთად, ერთ სახლში, მშვიდად და ბედნიერად გაეტარებინათ სიბერის წლები. თუმცა ეს ოცნებები მათ, თავიანთმა შვილებმა დაუმსხვრიეს. მოხუცი მშობლები წაიყვანეს და თავშესაფარში მიაბარეს.

ყველაფერი სწრაფად იცვლება. თანამედროვე ცხოვრება, ქცევის ახალი სტილითა და ახალი ჩვეულებებით ცხოვრების სათავეში მოექცა. ბუნებრივია ამ ცვლილებებისგან ოჯახის ინსტიტუტმაც თავისი წილი გავლენა მიიღო. შედეგად კი, ბავშვები ბაღებში, მოხუცები კი თავშესაფარში.

ბავშვები ისე იზრდებიან რომ ბებია-ბაბუას ვეღარც კი ხედავენ და მითუმეტეს ვერ გრძნობენ მათ სითბოსა და სიყვარულს. ბავშვები უკვე მათი ტკბილი ზღაპრებისა და იავნანას გარეშე იძინებენ. სადღა არის ისეთი ოჯახები, სადაც თეთრწვერა მოხუცები ზიან და ძალიან საყვარელი და თბილი ბებიები ფუსფუსებენ. უკვე ჩვენ ხომ გვაქვს ყოვლისმომცველი ინტერნეტი და ტელევიზორი, რომელსაც თვალს არ ვაშორებთ. გარდა ამისა, უფრო უცხო ვართ ერთმანეთისთვის, უფრო უსიყვარულო, უფრო მარტო, უფრო შორს...

ბოლო დროინდელი ტენდენციების თანახმად, ახალდაქორწინებული წყვილი ცალკე იწყებს ცხოვრებას. ამის შედეგად ჯერ ერთი რომ მშობლები უცხოვდებიან შვილების მიმართ და განშორების სიძნელეს ძნელად ეგუებიან, მეორედაც, მიუხედავად იმისა, რომ ერთ სახლში საკმარისი ფართია საცხოვრებლად ოჯახი იძულებულია ახალი სახლი შეიძინოს, ეს კი ფინანსურ პრობლემებთანაა დაკავშირებული. წესით და ბუნებით კი ისეა, რომ ადამიანმა მოხუცებულობის ჟამს ცხოვრება ოჯახურ გარემოში, შვილებთან და შვილიშვილებთან უნდა გაატაროს.

გამომდინარე აქედან, მოხუცების ადგილი, რომლებმაც მთელი თავიანთი ცხოვრება შვილებს და შვილიშვილებს მსხვერპლად შესწირეს, არის ისევ შვილებისა და შვილიშვილების გვერდით, თბილ და მოსიყვარულე გარემოში და არა თავშესაფრებში. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დაწესებულებების არსებობა აუცილებელია იმ შემთხვევებისათვის, როდესაც მოხუცი ან ბავშვი უპატრონოა და ოჯახი არ გააჩნია. ასეთ შემთხვევებისათვის თავშესაფარი აუცილებლად უნდა არსებობდეს. ჩვენ აქ ვსაუბრობთ იმ მოხუცებზე, რომლებსაც ოჯახი, შვილები, შვილიშვილები გააჩნიათ და მათთან ერთად არ არიან. მოხუცები ძალიან მგრძნობიარე და

მოსიყვარულენი არიან. მათ სურთ საყვარელ ადამიანებთან ერთად იყონ და მათი ბედნიერებით გაიხარონ. მარტო დარჩენა და სიმარტოვეში ცხოვრება მათი არჩევანი არ გახლავთ. მათ სურთ, რომ მზრუნველად ექცეოდნენ, ტკბილი სიტყვა უთხრან, გაუღიმონ და სიყვარული გამოხატონ.

ერთხელ შუამავალთან შორეთიდან ერთი კაცი მივიდა და უთხრა; მინდა შემოგფიცო ერთგულება და შენთან ერთად ჰიჯრა გავაკეთო, მაგრამ ორი მოხუცი დავტოვე, რომლებმაც ტირილით გამომაცილესო. შუამავალმა მიუგო: წადი და როგორც აატირე ის ადამიანები, ისე გაახარე და გააცინეო. (ებუ დავუდ, ჯიჰად, 32)

იგივენაირად, როცა ერთი კაცი შუამავალთან მივიდა და ჯიჰადში მონაწილეობის მისაღებად ნებართვა სთხოვა, შუამავალმა ჰკითხა, მშობლები ცოცხლები თუ გყავსო. კაცმა უპასუხა დიახ, მყავსო. როცა შუამავალმა გაიგო რომ იმ კაცის მშობლები ცოცხლები იყვნენ, უბრძანა, წასულიყო სახლში, მშობლებს მომსახურებოდა და პატივი ეცა მათთის. (მუსლიმ, ბირრ, 6)

შუამავალმა ამით გამოხატა, რომ მოხუცი მშობლების მოვლა, მათი დაცვა და მათზე ზრუნვა შვილისთვის უპირველესი მოვალეობაა.

მოხუცების ადგილი თავიანთი შვილების გვერდითაა. მშობლების ამაგის გადახდა არც ისე იოლი საქმეა.

შუამავალი დედას და დედის სიყვარულს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. „სამოთხე დედის ფერხთითაა“ ბრძანა მან და ამით დედის მიმართ პატივისცემის მნიშვნელობა დააფიქსირა. მოხუცი მშობლების მოვლა და მათზე ზრუნვა თუ შესაძლებელია და შვილი ამას უგულებელყოფს, ეს მისი, სამოთხისგან ჩამოშორების მიზეზი გახდება. გარდა ამისა, არსებობს სხვა ჰადისი, რომლის თანახმადაც შუამავალი ბრძანებდა: „სირცხვილი იმას, ვისთანაც ორივე მშობელი, ან რომელიმე მოხუცდა და ამის მიუხედავად სამოთხე ვერ დაიმსახურა“. (მუსლიმ, ბირრ, 9) ამ ჰადისიდან ჩანს, რომ სამოთხისკენ მიმავალი გზა მშობლების მიმართ პატივისცემასა და მათზე ზრუნვაზე გადის.

შუამავალი ყველაზე მადლიან და ყველაზე ცოდვიან საქმეებზე საუბრობდა. მისი ნათქვამიდან გამომდინარე ყველაზე მადლიანი საქმე, დროზე შესრულებული ნამაზის გარდა, მშობლების მიმართ გამოჩენილი პატივისცემაა, ხოლო ყველაზე დიდი ცოდვა, ღმერთის უარყოფის შემდეგ მშობლების მიმართ ურჩობა. (ბუჰარი, ედებ, 6)

„პატივისცემით მოეპყარით მშობლებს, რათა თქვენმა შვილებმა დაგიჯერონ და პა-

ტივი გცენ.“ (ჰაქიმ, მუსთედრექ, 4, 154)

შუამავალი გვირჩევდა, რომ მშობლების მიმართ გამოჩენილი პატივისცემა მათი მეგობრების მიმართაც უნდა გამოვიჩინოთ. უფრო მეტიც, მშობლების გარდაცვალების შემდეგ მათი მეგობრების მონახულება და ამგვარი პატივისცემის გამოხატვით მათი გულის მოგება, სასურველ ქცევადაა მიჩნეული. შუამავალის ამ რჩევების მიმართ უყურადღებობა არ უნდა გამოვიჩინოთ. შვილების მიმართ სიყვარულისა და უზადო მზრუნველობის გამოჩენასთან ერთად მშობლების მიმართ ამ ყველაფრის უგულებელყოფა და მათი თავშესაფრებში მიბარება, ცხოვრების წესისა და წესრიგის დარღვევა და პატივისცემის საერთოდ გაქრობაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმ პატივისცემისა და შეცოდების ამარა ერთ დღეს ჩვენც დავრჩებით.

დასასრულს

ერთი მოხუცი კაცი დაქვრივდება და მარტოობისგან თავის დაღწევის მიზნით შვილთან და რძალთან შეაფარებს თავს. თავდაპირველად შვილიც და რძალიც კარგად შეხვდებიან მოხუცს და ყურადღებას გამოიჩენენ. თუმცა, დროის გასვლასთან ერთად მოხუცი კაცის ჯანმრთელობის მდგო-

მარეობა გაუარესდება და საკუთარი თავის მოვლას ვეღარ შეძლებს. რძალი ერთ ხანს უვლის, მაგრამ როდესაც მოხუცი კაცის მოვლა უკიდურესად გაჭირდება, რძალსაც მობეზრდება და ქმართან ჩივილს დაიწყებს. ის ყოველდღე ეუბნება ქმარს, რომ მამა წაიყვანოს სადმე შორს და დატოვოს. მოხუცი კაცის შვილს თავდაპირველად არ მოეწონება ეს აზრი და კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ ბოლოს ცოლის ყოველდღიური დაჟინების წინააღმდეგ ფარხმალს დაყრის.



ერთ მშვენიერ დღეს დილას ადრე ადგება და მამასაც გააღვიძებს. გასასეირნებლად უნდა წაგიყვანოო, ეტყვის დაინტერესებულ მშობელს. მოხუც კაცს ძალიან გაუხარდება, რადგან დიდი ხანია სახლიდან არ გასულა და არ გაუსეირნია. ამრიგად მამა და შვილი გზას გაუდგებიან, ქალაქს გასცდებიან და გეზს მთებისკენ აიღებენ. შვილი ერთ ადგილს შეარჩევს და მამას ეტყვის აქ გავჩერდეთო. თუმცა მამას ეს ადგილი არ მოეწონება. ცოტა მანძილს კიდევ გაივლიან და შვილი ერთ ადგილს კიდევ შეარჩევს, ეს კარგი ადგილიაო, იტყვის, მაგრამ მოხუც კაცს არ ეს ადგილი მოეწონება, ცოტა ხანი კიდევ გავიაროთო, სთხოვს შვილს. ცოტას კიდევ რომ გაივლიან, ისევ შეჩერდებიან, მაგრამ მოხუცს არც ეს ადგილი მოეწონება. ამაზე მოხუცს გაუბრაზდება შვილი და რატომ არცერთი ადგილი არ მოგწონსო, ჰკითხავს. მოხუც კაცს მწარედ გაეღიმება და უპასუხებს:

„პირველი ადგილი, სადაც შენ გინდოდა, რომ დაგეტოვებინე ის ადგილია, სადაც მამაჩემმა ბაბუაჩემი დატოვა. შემდეგი ადგილი ის ადგილი იყო, სადაც მე მამაჩემი დავტოვე. შემდეგ ადგილზე იმიტომ არ ვისურვე გაჩერება და გზის გაგრძელება გთხოვე, რომ მინდოდა მენახა, თუ სად დაგტოვებდა შენ ჩემი შვილიშვილი.“

ქაღი

ქაცი

МОЛИТВЫ
И
ЗИКРЫ


ანბანი

რწმენის
მქმსი
ვერობა
ალლაჰის
საფუძველები

ალალი
და
არამი
ალალი
და
ჰარამი

ქალი
და
თავსაფარი
ქალი
და
თავსაფარი

23
წლიდან

ნამაზი
და
ლოცვა

საერთაშორისო ხაჯღლიძეული ფონდი

وقف تضامن دولي مسلم جورجيا

muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

Address: luka asatiani No: 166 BATUM, GÜRCİSTAN

აღრიცხა: ლუკა ასათიანის-166, ბათუმი, საქართველო

Phone : 0422225425

e-mail: samuslimanosaqartvelo@gmail.com **www.muslimgeorgia.org • info@muslimgeorgia.org**